

## სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

**მეცხოველეობის ფერმა დაარსდება წალკაში პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში**  
სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში შპს „აგროენერჯი“ მეცხოველეობის ფერმას დააარსებს. მთავრობის განცხადებით კომპანია ამ მიზნით 224 ათასი ლარის ინვესტიციას განახორციელებს. ხელისუფლებამ პროექტის მხარდაჭერისთვის კომპანიას წალკის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი) 10 000 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი გადასცა. დღეს მთავრობის სხდომაზე შესაბამისი ბრძანების პროექტი დამტკიცდა.

*Sarke Information News, 27 ოქტომბერი, 2017 წელი*

**„ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში მცხეთაში შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტსი“ დაარსდა**  
სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, რომ „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში მცხეთაში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონში) ხილის გადამამუშავებელი შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტსი“ დაარსდა. საწარმოში ინვესტიციები შეადგენს 1,7 მილიონ აშშ დოლარს, აქედან 250 000 აშშ დოლარი - სახელმწიფო თანადაფინანსებაა და 500 000 დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. საწარმო, სადაც 58 ადამიანია დასაქმებული, წელიწადში 50 ტონა ჩირს აწარმოებს მხოლოდ ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით, აღნიშნეს სამინისტროში და დასძინეს, რომ პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში მოხდება.

*Sarke Information News, 23 ოქტომბერი, 2017 წელი*

## მეფუტკრეობის საპილოტე ბაზა გაიხსნა სამეგრელოში

სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, რომ დღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეფუტკრეობის საპილოტე ბაზა გაიხსნა სოფელ მუხურში (სამეგრელო). როგორც სამინისტროში განაცხადეს, ბაზას აქვს ორი ლაბორატორია, ოფისი და დამხმარე ნაგებობები. პროექტის ღირებულება არ არის მითითებული. გახსნის ცერემონიას ესწრებოდა მინისტრი ლევან დავითაშვილი და პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია. როგორც დანელიამ განაცხადა, ამ საპილოტე ბაზას საქართველოში ანალოგი არ აქვს და ის კავკასიური რუხი ფუტკრის სახეობის აღდგენას მოემსახურება.

*Sarke Information News, 18 ოქტომბერი, 2017 წელი*

## EUGEORGIA.INFO: „ფიტოსანიტარიის მიმართულებით საქართველომ წლის ბოლომდე ევროკავშირის სამი დირექტივა უნდა გაითვალისწინოს“

მცენარეთა დაცვის მიმართულებით საქართველომ 2015-2017 წლებში ევროგაერთიანების 10 დირექტივა უნდა გაითვალისწინოს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლაშა ინაური აცხადებს, რომ „მცენარეთა დაცვის მიმართულებით 2017 წელს 3 დირექტივა უნდა გაითვალისწინოთ. ჯერჯერობით არცერთი არ სრულდება და მუშაობა შესაბამის კანონმდებლობაზე მიმდინარეობს“. მითითებული სამი დირექტივიდან ორი ეხება კარტოფილის დაავადებების (რგოლური სიდამპლის და მურა სიდამპლის (ვილტის)) კონტროლს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით, სამუშაოები კანონმდებლობაზე რგოლური სიდამპლის კუთხით უკვე დასრულებულია, ხოლო მურა სიდამპლის მიმართულებით ჯერ კიდევ გრძელდება. მესამე დირექტივა ეხება გარკვეული მცენარეების, მცენარეული პროდუქტების და სხვა ობიექტების იდენტიფიკაციის და ჯანმრთელობის შემოწმებას, რაც შეიძლება განხორციელდეს სხვა ადგილებშიც, ევროგაერთიანებისთვის მიწოდების პუნქტების გარდა. ინაურის განცხადებით ამ

მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და სამინისტრო მოელის ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისგან დოკუმენტის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ ეხება მის საქმიანობას (გამოქვეყნდა 11 ოქტომბერს).

*Sarke Information News, 13 ოქტომბერი, 2017 წელი*

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო: „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში ახალი რძის გადამამუშავებელი საწარმო შეიქმნა**

„ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში ქვემო ქართლში შეიქმნა რძის გადამამუშავებელი საწარმო შპს „თელეთის ყველი სახლი“, იტყობინება სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროექტში ინვესტიციები შეადგენდა 366 010 აშშ დოლარს, მათ შორის სახელმწიფო თანადაფინანსებაა - 146 404 დოლარი. „თელეთის ყველის სახლი“, სადაც 20 ადამიანია დასაქმებული, მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულს იყენებს და ყიდის პროდუქციას ადგილობრივ ბაზარზე. კომპანია გეგმავს გაიაროს HACCP სერტიფიცირება სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს დახმარებით. სამინისტროს ინფორმაციით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში დაფინანსებულია 165 ახალი და 750-ზე მეტი არსებული საწარმო. კერძოდ, ქვემო ქართლის რეგიონში 20 ახალი საწარმო შეიქმნება და 131 მოქმედი საწარმო განახლდება.

*Sarke Information News, 12 ოქტომბერი, 2017 წელი*

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო: რაჭაში 700-800 ტ მუჯურეთული და ალექსანდროული გადამამუშავდება**

წინასწარი მონაცემების საფუძველზე სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, რომ რაჭაში მიმდინარე წელს მუჯურეთულის და ალექსანდროულის ჯიშის 700-800 ტონა ყურძენი გადამამუშავდება. ამჟამად რეგიონში ყურძენს 12 მეღვინეობის კომპანია ყიდულობს, განაცხადეს სამინისტროში. საერთო ჯამში, 25 კომპანიამ რეგისტრაცია გაიარა კომისიაში რთველის მხარდაჭერისთვის, მათ შორის 6 ადგილობრივი კომპანიაა, რომლებიც ეტაპობრივად ჩაერთვებიან ყურძენის შექმნის პროცესში. ორიგინალური დასახელების დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მთავრობა განაგრძობს ხვანჭკარის ღვინის წარმოებაში გამოყენებული ჯიშების შესყიდვის სუბსიდირებას, ამატებს რა თითოეულ კილოგრამზე შექმნისას 2 ლარს. შესაბამისად, მეღვინეობის კომპანიები 1 კგ-ს 5 ლარად იძენენ ფერმერებისგან, განაცხადეს სამინისტროში.

*Sarke Information News, 10 ოქტომბერი, 2017 წელი*

## **სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი**

**სომხეთის პარლამენტმა ახალი კანონპროექტი მიიღო - სომხეთში პირუტყვი მხოლოდ სასაკლაოებზე დაიკვლება**

ცვლილებები სურსათის უვნებლობის და ვეტერინარიის კანონებში პირველი მოსმენით მიიღო სომხეთის ეროვნულმა ასამბლეამ ხუთშაბათს. სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა იშხან კარაპეტინმა განაცხადა, რომ ცვლილებები შეიცავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მხოლოდ სასაკლაოზე დაკვლის მოთხოვნას. ეს ნიშნავს, რომ ნებადართული იქნება მხოლოდ სასაკლაოებზე დაკლული პირუტყვის ხორცის გაყიდვა. ინფორმაცია სასაკლაოს შესახებ მითითებული იქნება პროდუქტის ეტიკეტზე.

*26 ოქტომბერი, 2017 წელი, arka.am*

**ქათმის იმპორტი პოლონეთიდან და გერმანიიდან სომხეთში აღარ არის აკრძალული**

სომხეთის სურსათის უვნებლობის ეროვნულმა სააგენტომ პოლონეთიდან და გერმანიიდან ქათმის იმპორტის აკრძალვა გააუქმა, იტყობინება სააგენტოს პრეს-სამსახური. აკრძალვის

გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე მოხდა, რომლის თანახმად „ვირუსული ფრინველის გრიპი“ ამ ქვეყნებს საფრთხეს არ უქმნის. ყველა სახის ხორცის, ისევე როგორც ბუმბულის, კვერცხის და ა.შ., იმპორტი აღარ არის აკრძალული. აკრძალვა ამოქმედდა 2017 წლის 9 თებერვალს.

25 ოქტომბერი, 2017 წელი, arka.am

### **2017 წელს სომხეთში ყურძნის წარმოება 20 პროცენტით შემცირდა**

სომხეთის ყურძნის წარმოება 2017 წელს წინა წელთან შედარებით 20%-ით შემცირდა, განაცხადა ღვინის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა არეგ ჰარუთიუნიანმა. დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე საუბრისას მან განაცხადა, რომ წარმოება შემცირდა დაახლოებით 90 000 მეტრული ტონით, პირველ რიგში იმის გამო, რომ ფერმერებმა ვერ დაიცვეს ვენახები ზამთრის ყინვებისგან დროულად და სათანადო წესით, ფინანსების ნაკლებობის გამო. მისი თქმით, ოფიციალური მაჩვენებლების მიხედვით, როგორც წესი, ყურძნის წარმოება 200 000 და 300 000 ტონას შორის მერყეობს. თუმცა, რეალურად ღვინის ეროვნული ცენტრის შეფასებით, წარმოება არასდროს აღემატებოდა 100 000 ტონას. მისი თქმით, კლება ნაწილობრივ განპირობებულია ღვინის მწარმოებლების რაოდენობის შემცირებით. „ყურძნის წარმოებით დაახლოებით 32 ათასი ოჯახი იყო დაკავებული, თუმცა, 2016 წელს ყურძნის დაბალი მოსავლის და ყურძნის რეალიზაციის პრობლემების გამო მათი რიცხვი 4 000-ით შემცირდა“, - განაცხადა ჰარუთიუნიანმა. ამავე დროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ღვინის წარმოება 2017 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში 35,2%-ით გაიზარდა 5,1 მილიონ ლიტრამდე. კითხვაზე, თუ რატომ გაიზარდა ღვინის წარმოება ყურძნის რაოდენობის კლების პირობებში, ჰარუთიუნიანმა აღნიშნა, რომ ამას შეიძლება რამდენიმე ახსნა ჰქონდეს. „პირველ რიგში, მწარმოებლებს შეეძლოთ წინა წლებში შენახული ღვინის მასალა გამოეყენებინათ და, მეორე მხრივ, შესაძლებელია გაზრდილიყო ხილის ღვინოების წარმოება“, - განაცხადა სპეციალისტმა.

24 ოქტომბერი, 2017 წელი, arka.am

### **სომხეთის ღვინის ექსპორტი დაახლოებით 50 პროცენტით გაიზარდა 2017 წლის იანვარ-ივნისში**

სომხეთმა 2017 წლის იანვარ-ივნისში ღვინის ექსპორტი დაახლოებით 50 პროცენტით გაზარდა ერთი წლით ადრე ამავე პერიოდთან შედარებით, განაცხადა ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ტიგრან ხაჩატრიანმა პრეს-კონფერენციაზე. საბაჟო სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის პირველ ნახევარში სომხეთიდან 4,7 მილიონი დოლარის ღირებულების 1 271 900 ლიტრი ღვინო იქნა ექსპორტირებულ ნაცვლად 789 900 ლიტრისა წინა წლის იმავე პერიოდში. პროდუქცია 2,58 მილიონი დოლარის ღირებულების იყო. მინისტრის მოადგილის განცხადებით, ღვინის ექსპორტის ზრდა სომხეთის ექსპორტის სტრუქტურის ერთ-ერთი პოზიტიური ტენდენციაა. მისი სიტყვებით, მადნეული, კონიაკი და თამბაქოს პროდუქცია კვლავ დომინირებს ქვეყნის ექსპორტში. „მთავრობამ ამოცანად დაისახა თანამედროვე ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის აშენება, რომელშიც ექსპორტის სარგებელი თანაბრად გადანაწილდება საზოგადოების ყველა წევრს შორის“, - განაცხადა მან. ხაჩატრიანმა განაცხადა, რომ ღვინის და ტექსტილის მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის ზრდა მთავრობის მიერ არჩეული პოლიტიკის ეფექტურობას ადასტურებს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში ტექსტილის წარმოება 373,7 მლნ სომხურ დრამს შეადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 47,4%-ით მეტია. ექსპორტირებული ტექსტილის და ტექსტილის პროდუქციის რაოდენობამ შეადგინა 87,4 მილიონი სომხური დრამი (36,6% ზრდა წელიწადში).

23 ოქტომბერი, 2017 წელი, arka.am

## **სომხეთი და FAO სურსათის უვნებლობისა და მეცხოველეობის საკითხებში თანამშრომლობას აფართოებენ**

სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია ხელს მოაწერენ ახალ შეთანხმებას თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა იგანტ არახელიანმა განაცხადა ჟურნალისტებთან ოთხშაბათს. „სომხეთი 1993 წელს FAO-ს წევრი გახდა და მას შემდეგ დიდი სამუშაო გაკეთდა“, - განაცხადა მან. „შეთანხმება შესაძლებელს გახდის პროგრამების ფარგლებში ინვესტიციების დაჩქარებას და FAO-ს მხარდაჭერით ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებას“. მინისტრმა აღნიშნა, რომ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ვეტერინარია და სურსათის უვნებლობა თანამშრომლობისთვის პრიორიტეტულია. „ამჟამად უკვე ვმონაწილეობთ FAO-სთან მნიშვნელოვან პროგრამებში ჩვენი გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად“, - განაცხადა მან. „კერძოდ, ეს არის გარგარის და ყურძნის გენეტიკური რესურსის შექმნის და შენარჩუნების პროგრამა“. ვლადიმერ რახმანიანი, FAO-ს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე და ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური დელეგაციის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამშრომლობის 24 წლის განმავლობაში სომხეთმა და FAO-მ ბევრის მიღწევა შეძლეს და ახალი შეთანხმება ამ თანამშრომლობის განმტკიცების საფუძველს ქმნის. გადაუხადა რა მადლობა სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეფექტური თანამშრომლობისთვის, რახმანიანმა განაცხადა, რომ ორგანიზაციამ და სამინისტრომ დადეს შეთანხმება, რომ 2020 წლამდე ითანამშრომლებენ, რადგან მსოფლიო გლობალური გამოწვევების წინაშე დგას, რაც ირიბად ჩვენს ქვეყანაზეც ვრცელდება. ეს გამოწვევებია, უპირველეს ყოვლისა, მცენარეებისა და ცხოველების დაავადებები, რომლებიც მთელ მსოფლიოში არის გავრცელებული და, რომლებიც კლიმატის ცვლილების გამო გაძლიერდა და დამოკიდებულება ფერმერებისადმი და საზოგადოების ურბანიზაციისადმი, განაცხადა მან.

*18 ოქტომბერი, 2017 წელი, arka.am*

## **სომხეთი სავალდებულო სასოფლო-სამეურნეო დაზღვევას დანერგავს 3-5 წელიწადში**

სომხეთის მთავრობა მომავალი 3-5 წლის განმავლობაში სავალდებულო სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის დანერგვას გეგმავს. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ არმენ ჰარუთიუნიანმა ჟურნალისტებს განუცხადა. მომავალ წელს სომხეთში საპილოტო სასოფლო-სამეურნეო სადაზღვევო პროგრამა დაიწყება და მოსალოდნელი დადებითი შედეგები შეიძლება გავრცელდეს ქვეყნის მასშტაბით. „თავდაპირველ ეტაპზე ჩვენ ვგეგმავთ შემოგთავაზოთ ოთხი ძირითადი რისკის დაზღვევა - სეტყვა, ყინვა, გვალვა და ძლიერი ქარი, მოგვიანებით შეიძლება მოხდეს სიის გაფართოება“, - განაცხადა ჰარუთიუნიანმა და დასძინა, რომ საშუალოვადიანი ხარჯების პროგრამა ითვალისწინებს 5 მილიონი ევროს გამოყოფას სადაზღვევო ბიუროს შექმნისთვის, რაც სადაზღვევო პრემიების და საკომპენსაციო თანხის ოდენობის დაანგარიშებას მოახდენს. მისი თქმით, ბიუროს გადაწყვეტილებები სავალდებულო იქნება, რადგან ისინი ყველა შესაძლო რისკს გაითვალისწინებენ. „საწყის ეტაპზე დაზღვეული იქნება 30-მდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, როგორცაა გარგარი, პომიდორი, მარცვლეული, მაგრამ მომავალში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნუსხა გაფართოვდება“, - განაცხადა ჰარუთიუნიანმა.

*16 ოქტომბერი, 2017 წელი, arka.am*

## **პუბლიკაციები და სხვა**

**Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2017 წლის სექტემბრის #61 გამოცემა**

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.  
<http://agrogeorgia.blog.com/>

**ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი**  
ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:  
<http://eeas.europa.eu/delegations/georgia/>.

**ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან**  
სიახლეები იხ. ამ ბმულზე: [www.enpard.ge](http://www.enpard.ge)

#### **DWV & AGRICULTURE**

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში.  
იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:  
[www.dwvg.ge](http://www.dwvg.ge)

#### **Agro & Food Up-to-Date**

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე.  
<http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/>